

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო  
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 73

ქ. ბათუმი

„ 27 “ „ივნისი“ 2022 წ.

სხდომას  
ხელმძღვანელობდა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ----- ნუკრი დეკანაძე.

სხდომას ესწრებოდნენ  
საკონკურსო კომისიის  
წევრები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ----- ვახტანგ გედენიძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ----- სოფიო მიქელაძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი -- ლევან მამინაიშვილი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი ----- მირიან მეტრეველი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების სამსახურის უფროსი ----- დავით კოპინაძე.

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ----- ზურაბ ცეცხლაძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი) ----- ნინო კერვალიშვილი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ----- კახა დიასამიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია და შიდა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № ბ 14.14221367 ბრძანების შესაბამისად, არსებულ 6 ვაკანტურ თანამდებობაზე ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (16.06.2022) - ზეპირი დავალება / გასაუბრება შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.

2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულის გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის 16 აპრილს ჩატარებული, კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრების შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ 6 ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 41 კანდიდატიდან (განაცხადიდან), კონკურსზე გამოცხადდა 16 კანდიდატი (განაცხადი), ხოლო არ გამოცხადდა 25 კანდიდატი (განაცხადი).

კომისიამ დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს 16.05.2022 წლის № ბ 14.14221367 ბრძანებით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრება შედეგები, თანახმად დანართისა.

2. გამოცხადებულ 1 ვაკანტურ ღია პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდეს, ვინაიდან ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააკმაყოფილა/გადალახა დაწესებული ქულათა პირობა/ზარირი.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) იმ კანდიდატებს, რომლებიც ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება/გასაუბრება) არ გამოცხადნენ, ან კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით ვერ გამოვლინდნენ გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.


ბ) იმ კანდიდატებს, რომლებმაც ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება/გასაუბრება) წარმატებულად გადალახეს და კონკურსის საბოლოო შედეგებით გამოვლინდნენ გამარჯვებულად, შედეგები ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.

გ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და ოქმის დანართი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.batumi.ge](http://www.batumi.ge)


3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.


კომისიის თავმჯდომარე:  ნური დეკანაძე


კომისიის წევრები:


 ვახტანგ გედენიძე


 სოფიო მიქელაძე


 ლევან მამინაიშვილი

 მირიან მეტრეველი

 დავით კოპინაძე

 ზურაბ ცეცხლაძე

 ნინო კერვალიშვილი

 კაბა დიასამიძე